საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/87

ქ. ბათუმი 21 ივლისი, 2023 წ.

2023–2024 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 მუხლის „ი" ქვეპუნქტის, ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" (ცვლილება ამავე წესში ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის N06-01/130 დადგენილებით), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერისა (№23-05/07, 15.06.2023) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 9 23 0000706204, 16.06.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე **მისაღები კონტინგენტი** განისაზღვროს **85 ადგილით**.
2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის წარდგინებით გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება 2023–2024 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების თაობაზე.
3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტმა (პროგრამის ხელმძღვანელი, ამავე ფაკულტეტის პროფესორი ლელა თავდგირიძე) უზრუნველყოს წინამდებარე დადგენილების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ

დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**